მოგესალმებით, “რადიო თავისუფლება” ამზადებს სტატიას პატიმართა კვებაზე. სტატიაში აღწერილია პენიტენციურ სამსახურსა და შპს ილი ჯგუფს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია.
გამომდინარე აქედან გთხოვთ გვიპასუხოთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებზე:

1. ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, 2019, 2020, 2021, 2024 და 2025 წლებში თქვენს კომპანიას პენიტენციური სამსახურის ინსპექტირების ჯგუფმა პატიმართა კვებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ათეულობით დარღვევა აღმოუჩინა. ეთანხმებით თუ არა ამ მიგნებებს და რით ხსნით თქვენი კომპანიის წინააღმდეგ ფულადი ჯარიმის ათეულობით ოქმის შედგენას?
2. ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, არაერთხელ დაფიქსირდა პატიმართა კვების რაციონში ძვირადღირებული პროდუქტების (მაგ. საქონლის ხორცი, კარაქი) ჩანაცვლება შედარებით იაფიანი ალტერნატივებით (ქათმის სოსისი, მცენარეული სპრედი). ასევე, ნედლი ხორცის ნაცვლად დაფიქსირდა გაყინული ხორცი. როგორ განმარტავთ ამ შემთხვევებს?
3. ინსპექტირების დოკუმენტებში მითითებულია, რომ კომპანიამ ხშირად ვერ წარადგინა მიწოდებული პროდუქციის (რძის ნაწარმი, სოსისი) წარმომავლობისა და შემადგენლობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ეთანხმებით თუ არა ამ ფაქტს და რატომ ხდებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში დაუდგენელი წარმოების პროდუქტის შეტანა?
4. ოფიციალურ დოკუმენტებში აღწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის ფაქტები, მათ შორის: „მწერი ხაჭაპურში“, „დაობებული სოსისი“, „გაცვეთილი ინვენტარი“ და სხვა. ამასთანავე, „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას რამდენიმე პატიმარი საკვების დაბალ ხარისხზე მიუთითებს. რა ზომებს იღებს კომპანია ციხეებში ჰიგიენური ნორმების დასაცავად და რატომ მეორდება მსგავსი დარღვევები სისტემატურად?
5. დოკუმენტების მიხედვით, სამკურნალო დიეტაზე მყოფი პატიმრები (ტუბერკულოზით, C ჰეპატიტითა და დიაბეტით დაავადებულები) ხშირად ვერ იღებდნენ მათთვის აუცილებელ რძის ნაწარმსა და ხორცს, რაც დიეტური მენიუს დარღვევაა. რით არის გამოწვეული სპეციფიკური პროდუქტების დეფიციტი და მიჩნევთ თუ არა, რომ ამით კომპანია პატიმართა ჯანმრთელობას უქმნიდა რისკებს?
6. ოფიციალური ინფორმაციით, თქვენს კომპანიას პენიტენციურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებების (2019-25 წლებში) მრავალგზის დარღვევისთვის დაახლოებით 35 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა აქვს დაკისრებული. აღიარებთ თუ არა ამ ჯარიმებს, გაასაჩივრეთ თუ არა ისინი სასამართლოში და რა შედეგით დასრულდა დავები? ჯამში რა მოცულობის ჯარიმა გაქვთ გადახდილი და ეს მოხდა ნებაყოფლობით თუ იძულებითი წესით (თანხის ჩამოჭრით)?

პატივისცემით

გიორგი მგელაძე

“რადიო თავისუფლების” ჟურნალისტი